



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 0 20 00356474



30/04/2020

„უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსაურის უფროსის 2020 წლის 20 აპრილის N342743 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“:

ა) მე-7 მუხლის:

ა.ა) მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

ა.ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ მიმდევრობით არსებული პუნქტის რიგითი ნომერი „6“ ჩანაცვლდეს რიგითი ნომრით „5“;

ბ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. დარგობრივი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ:

ა) აკადემიური თანამდებობის მქონე პირები;

- ბ) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები;
 - გ) დარგობრივი სამინისტროს/სამინისტროების წარმომადგენლები;
 - დ) დარგობრივი ასოციაციის წევრები;
 - ე) დამსაქმებელთა გაერთიანების წარმომადგენლები/დამსაქმებელთა წარმომადგენელი;
 - ვ) რეგულირებადი პროფესიების მარეგულირებელი უწყების/უწყებების წარმომადგენლები.
4. ცენტრის დირექტორის მიერ დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრობის კანდიდატთა შერჩევასა მხედველობაში მიიღება შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
- ა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა ან/და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კვლევის ან/და საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილება;
 - ბ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ან/და დარგის უახლესი ტენდენციების განვითარებაში მონაწილეობის დამადასტურებელი აქტივობა (მაგალითად, პუბლიკაციები, გამოგონებები და სხვ.);
 - გ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობის გამოცდილება;
 - დ) კანდიდატი შესაძლებელია შეირჩეს პროფესიული ნიშნითაც. პირის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით ან/და სპეციალური მომზადებით.“.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციები არ ვრცელდება მისი ძალაში შესვლამდე ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილ შესაბამის უმაღლესი განათლების დარგობრივ სამუშაო ჯგუფებსა და უმაღლესი განათლების დარგობრივ საბჭოებზე.
3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

